ხელშეკრულება № 48-2017
ევროვიზია – 01/07
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 27 ოქტომბერი. 2017 წელი

ერთის მხრივ, სსიპ „სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტო“ წარმოდგენილი - სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ნიკოლოზ დიდიძის სახით შემდგომში „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ ი/მ „დიმიტრი ტატიშვილი“–ის სახით შემდგომში „მიმწოდებელი“ ერთად წოდებული მხარეებად ვმოქმედებთ რა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე–10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას;

1.ხელშეკრულების გაფორმების საფუძველი

1.1 ხელშეკრულების გაფორმების საფუძველს წარმოადგენს:

- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 12 ოქტომბრის N2171 განკარგულება;
- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 ოქტომბრის N 2214 განკარგულება;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 18 ოქტომბრის № 2799 განკარგულება; (SMP 170002413).

2.ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში (CPV კოდი 31320000 – დენის გამანაწილებელი კაბელები); –ის შეძენა თანდართული ცხრილის შესაბამისად :

№	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო თანხა
1	დამაგრძელებელის თავი 6–ანი დამიწებით–46130100	ცალი	15	8.50	127.50
2	დამაგრძელებლის თავი 3–ანი დამიწებით–43130100	ცალი	12	5.00	60.00
					სულ:187.50

3.შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება

3.1. მისაწოდებელი საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს 187.50 (ასოთხმოცდაშვიდი) და 50 ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

4.საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

4.1საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორება მოხდება წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისი ,,მიღება– ჩაბარების" აქტის და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის ვადაში.
5.2 ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი
5.3 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო.
5.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, ბრალეული მხარე დაზარალებულ მხარეს აუნაზღაურებს დოკუმენტალურად დადასტურებულ მიყენებულ ზიანს, საქართველოსი მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6.2 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ საქონელი იქნება ხარისხიანი და არ გამოავლენს ხარვეზებს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს აღმოჩენილი ნაკლის გამოსწორება.
6.3 მიმწოდებლის მიერ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მას ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია მოახდინოს ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება 10 სამუშაო დღეში.
7.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის გაფორმებიდან 10 საბანკო დღეში აუნაზღაუროს მას შესყიდული საქონლის ღირებულება
7.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ვალდებულებებზე ან ზარალზე.
7.4 მიმწოდებელს არ აქვს უფლება, შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
8.2 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
8.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება, უნდა გაფორმდეს წერილობით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

10.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ წერილობითი შეტყობინების შემდეგ, იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
10.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
10.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო თავად იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
10.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. მხარეები უფლებამოსილნი არიან შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13.ინტერესთა კონფლიქტი

13.1 „შემსყიდველის“ მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის პროცედურაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

14.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 1 დეკემბრამდე.

ხელშეკრულება შედგენილია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი შემსყიდველს.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“
სსიპ "სახელისუფლებო სპეციალური
კავშირგაბმულობის სააგენტო".
საიდენტიფიკაციო კოდი:204429494
მისამართი: 380038, საქართველო, ქ. თბილისი
9 აპრილის ქ. 2 სახელმწიფო ხაზინა
სსიპ „სახელისუფლებო სპეციალური
კავშირგაბმულობის სააგენტოსთვის“ – 4003
ხაზინის ერთიანი ანგარიში
GE24NB0330100200165022
ბანკის კოდი – TRESGE22
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი – 7 0771 7121

_____
ნიკოლოზ დიდიძე
სააგენტოს უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი

„მიმწოდებელი"

ი/მ „დიმიტრი ტატიშვილი“
ს/კ „62001015482“
მის: ქ.თბილისი, ხოშ და ელიავას ქ.მტკვრის
მარცხენა სანაპ.4–ე პავილ.სექტ–6
სს „თი ბი სი ბანკი
ა/ა GE 16 TB 1124436010100014

_____
დ.ტატიშვილი
ინდმეწარმე

მიღება – ჩაბარების აქტი 48-2017/1
ევროვიზია №01/07
საქონლის შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 27 ოქტომბერი 2017 წ.

ერთის მხრივ **სსიპ „სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტოს“** უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ნიკოლოზ დიდიძე (შემსყიდველი) და მეორეს მხრივ **ი/მ „დიმიტრი ტატიშვილი“** (მიმწოდებელი) ვადგენთ აღნიშნულ მიღება–ჩაბარების აქტს შემდეგზე:

„მიმწოდებელმა“ გადასცა ხოლო „შემსყიდველმა“ მიიღო 2017 წლის 20 ოქტომბერს გაფორმებული №48–2017 ხელშეკრულების ფარგლებში, **187.50(ასოთხმოცდაშვიდი და 50 თეთრი)ლარის** ღირებულების შემდეგი საქონელი:

№	CPV კოდი	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო თანხა
1	31320000	დამაგრძელებლის თავი 6–ანი დამიწებით–46130100	ცალი	15	8.50	127.50
2	31320000	დამაგრძელებლის თავი 3–ანი დამიწებით–43130100	ცალი	12	5.00	60,00
						სულ:187.50

„შემსყიდველი“ იღებს ვალდებულებას „მიმწოდებელს“ უნაღდო ანგარიშსწორების წესით გადაუხადოს მიწოდებული საქონლის ღირებულება ეროვნულ ვალუტაში, წინამდებარე აქტის ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში.

მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულება შესრულებულია.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“
სსიპ "სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტო".
საიდენტიფიკაციო კოდი:204429494
მისამართი: 380038, საქართველო, ქ. თბილისი 9 აპრილის ქ. 2 სახელმწიფო ხაზინა სსიპ „სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტოსთვის“ – 4003ხაზინის ერთიანი ანგარიში GE24NB0330100200165022 ბანკის კოდი – TRESGE22მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი – 7 0771 7121

„მიმწოდებელი"

ი/მ „დიმიტრი ტატიშვილი“
ს/კ „62001015482“
მის: ქ.თბილისი, ხოშ და ელიავას ქ.მტკვრ მარცხენა სანაპ.4–ე პავილ.სექტ–6

სს „თი ბი სი ბანკი“

ა/ა GE 16 TB 1124436010100014

სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
ნ.დიდიძე

ინდმეწარმე დ.ტატიშვილი